„მე - უნივერსიტეტი“

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროექტი სტუდენტებისათვის

პროექტის კოორდინატორი:

მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური

პროექტის მიზანი:

პროექტის ძირითადი მიზანია აწსუ-ს განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება, მათი მოტივაციის ზრდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დგას უნივერსიტეტი.

პროექტი, ასევე, ორიენტირებულია სტუდენტებში პროექტების მომზადებისა და მართვის, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კორპორაციული კულტურის ამაღლებაზე.

პროექტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები:

თანამედროვე უნივერსიტეტში მმართველობა უნდა ეყრდნობოდეს მენეჯმენტისა და ლიდერობის აღიარებულ პრინციპებს, მეთოდებს, რათა ადმინისტრირება უფრო გასაგები და აღქმადი გახდეს მისი თითოეული წევრისათვის. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს გრძელვადიანი პროგრამების შემუშავების ინტენსივობასა და ხარისხზე როგორც ცალკეული სტრუქტურული ერთეულის, ისე პიროვნებისათვის, მათ დადებით ჩართულობასა და აქტიურობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროექტის ერთ-ერთი მიზანია განავითაროს და ხელი შეუწყოს მართვის თანამედროვე სტილის შემდგომ გაღრმავებას ჩვენს უნივერსიტეტში, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *თანმიმდევრულობა გადაწყვეტილებათა მიღებასა და პროცესების მართვაში.*
- *პიროვნული თავისუფლების მაქსიმალური მხარდაჭერა და ადმინისტრაციული დერეგულირება.*
- *თანამშრომლობითი მმართველობის უპირატესობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლობით მართვასთან შედარებით.*
- *მომავალზე ორიენტირება.*
- *ორგანიზაციის წევრების მიზანსწრაფულობისა და მათი გუნდური მუშაობის მხარდაჭერა.*
- *სოციალური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების მხარდაჭერა.*

პროექტის ფარგლებში, სტუდენტები, უნივერსიტეტის თანამედროვე გამოწვევებისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით, მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას, დასახავენ მათი გადაჭრის გზებს და გამოკვეთენ საკუთარ როლს არსებული ვითარების გაუმჯობესებაში.

სტუდენტებმა საკუთარი იდეები უნდა წარმოადგინონ პროექტების სახით, სადაც მითითებული იქნება პროექტის ეტაპები, განხორციელების ვადები და სავარაუდო ღირებულება.

პროექტის აიტვირთება მხოლოდ აწსუ კორპორაციული ელ-ფოსტის მეშვეობით.

იდეებს განიხილავს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტებისა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

გამარჯვებულ პროექტებს რეკომენდაცია მიეცემა დასაფინანსებლად (მ.შ. აწსუ სტუდენტური დასაქმებით), რომლის ფორმატი შეთანხმდება დამატებით.

პროექტის განხორციელების ეტაპები:

- საპროექტო განაცხადების მიღება;
- განაცხადების კონკურსი და გამარჯვებულების გამოვლენა;
- გამარჯვებული გუნდების ტრენინგი პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებით;
- პროექტის საბოლოო შეთანხმება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ხელშეკრულებების გაფორმება და პროექტების განხორციელება

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- აქტუალურობა
- რეალურობა
- ინოვაციურობა და კრეატიულობა
- მდგრადობა
- ხარჯთეფექტიანობა